№ 95
პარასკევი, 5 მაისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 95
პარასკევი, 5 მაისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

„ივერიის" ტელეფონი № 227


## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ

დანიშნულია 7 მაისს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).

ამ შემთხვევაში, თუ ამ დღეს ცუდი, წვიმიანი ამინდი იქნება, ლატარია-ალეგრი გადადებულ იქნება 14 მაისისათვის.


ამ ნომერთან ეგზავნებათ „ივერიის" ხელის მომწერთ სია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრებისა.


**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი აუწყებს** ამით თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას, რომ თავად-აზნაურთა განსაკუთრებითი კრება **შესდგება შვიდს ამა მაისს,** ათს საათზედ, დილით, თავისს საკუთარს სახლში, ლორის-მელიქიშვილის ქუჩაზედ.

(3—6.—2)


## შემოწირულება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს შემდეგი ძვირფასი ნივთები: ლანგარი თითბრისა, რომელზედაც ამოჭრილია სხვა-და-სხვა სახეები, ყავის მოწყობილობა ფრაჟესი, ვერცხლის წყლით დაფერილი, მშვენიერი ჩარექა ფრაჟესი, სარკე ფრაჟესივე, „ეტაჟერი" ყვავილებისა, წერილებისა და სხვა წვრილ ნივთების დასაწყობად ფრაჟესი. ფარჩის ნაკერი ბალიშები, ძვირფასი სასმელები, საუკეთესო კახური ღვინოები, მრავალმა ქართველმა ქალმა თავის საკუთარ ხელით ნაკეთები ყვავილები და ყვავილებიანი ხახლები და სხვა მრავალი ნივთები.

გარდა ამისა შემოსწირეს კიდევ: მარიამ მესხიევისამ ძველებურად ოქრომკედით ნაქარგი პირსახოცი და ვერცხლის სასუხრე; ელენე სულხანიშვილისამ მშვენივრად ყვავილებისაგან ხელოვნურად ნაკეთები ხახალი და ალისფერ ტილოზედ ოქრომკედით ნაკერი ბალიში, ნინა გერიჩისამ მშვენიერად ნაკერი მუთაქა; ნინო გრიგოლის ასულმა ნათიევისამ ბროლის საწერელი; მართა გრიგოლის ასულმა ქართველიშვილისამ ხელოვნურად გაკეთებული მშვენიერი ყვავილებიანი ვაზა; ანასტასია ლუკას ასულმა ბაქრაძისამ, საეპარქიო საქალებო სასწავლებლის მასწავლებელმა, მშვენივრად ნაკერი გიდელა; ელენე თოთიბაძისამ თითბრის ლანგარი და ნაკერი ბალიში; ელისაბედ მიხეილის ასულმა წერეთლისამ ხელოვნურად ნაკეთები აბაჟური; დარია მიხეილის ასულმა წერეთლისამ ნაკერი საათის ბუდე და სოლომონ ივანეს ძე კურდღელაშვილმა ათი ბოთლი კახური ღვინო.

გუშინდელს ნომერში შეცდომით არის დაბეჭდილი: ელისაბედ გიორგის ასულმა აბრამიშვილისამ ნაქარგი პორტმანე; პორტმანე შემოწირული აბრამიშვილის მიერ არის სპილოს ძვლისა და იხმარება როგორც პორტმანედ ისე მედალიონად.

## ახალი ამბავი

*** ოცს აპრილს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა პირველი კრება ახლად დაარსებულის დოლის გამმართველ საზოგადოებისა. ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად ამოირჩიეს მისი უმაღლესობა კ. პ. პრინცი ოლდენბურგისა. წევრებად: თავ. ს. გ. წერეთელი და თ. დ. გ. მხეიძე. მდივნად—ა. ე. გიკშე და ხაზინადრად—ე. ჰიჰინაძე.

*** როგორც გამოცხადებული იყო, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის კრება მოხდება 9 მაისს. ვექილობა უნდა წარმოედგინათ ერთის კვირის წინად და პირველ მაისამდის მხოლოდ 180 ვექილობა წარმოუდგენიათ, ბევრით ნაკლები შარშანდელზედ. გარდა იმ საქმეებისა, რომელნიც უკვე გამოცხადებული იყო, გაარჩევენ კითხვებს, რომელნიც თ. ნ. ვ. ორბელიანისა და ბანკის სხვა წევრთა მიერ აღძრულ იქმნა:

1) დამტკიცება სამუდამო იურის-კონსულტის თანამდებობისა.

2) ყოველ წლიური დანახარჯის განხილვა კრების მიერ საგანგებო თანხიდგან.

3) ზედამხედველი კომიტეტის საქმის წარმოების გაუმჯობესება.

4) შემცირდეს ხარჯი საქალაქო ადგილების მოვლისათვის $^{3}/_{4}$%-ტით.

5) მამულის დამგირავებელთ მიეცეს სესხი გირავნობის ფურცლებით.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ევლახის ხიდზედ ორ მაისს, ღამის 11 საათზედ, ხუთს ყაჩაღსა და სამხედრო დარაჯთა შორის თოფის სროლა ასტყდა. მოკლულ იქმნა ერთი ყაჩაღი ს. ჯერდახის მცხოვრები შაქირ-მამედ-ოღლი.

*** პეტერბურგი, 3 მაისს: გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება თავად მინგრელსკის მამული 96 დესეტინა დაბა ზუგდიდს მიეწეროს, რისთვისაც უკვე ხაზინაში შეტანილია ამ მიწის ფასი 24,933 მანეთი თ. მინგრელსკის გადასაცემად.

*** სამეგრელო: არც აბრეშუმს მოელიან შარშანდელივით ბლომად. იმისი მიზეზი, უდრო-უდროოდ დამდგარი სითბო იყო, რომელმაც ხეს ფოთოლი გამოაღებინა, შემდეგ ამ გამოტყუებულს ფოთოლს ყინვამ დაჰკრა და გააფუჭა. გამოჩეკილს ჭიას უსაჭმელობამ და მოულოდნელმა სიცივეებმა მეტად ავნო. ჩვენი მეაბრეშუმე ქალები წელს დიდს სიხარულში იყვნენ, რადგანაც კარგი ჯიშის აბრეშუმის თესლი ეშოვნათ, მაგრამ სამწუხაროდ ეს სიხარული გაუცრუვდათ...

საზოგადოდ წელს მთელს სამეგრელოში ვაზსაც ერთობ თხლად ასხია. მიზეზი, რასაკვირველია, გაზაფხულის ავდრები იქმნებოდა. აპრილის შუა და უკანასკნელს რიცხვებში ისეთი აღმოსავლეთის ღონიერი ქარი ჰქროდა, რომ თითქმის ხეებს აქცევდა ძირიანად. ვაზს თუ რამე ჰქონდა ახლად გამოტანილი ყლორტი მიამტვრ-მოამტვრია. ზოგან სახლებს სახურავები გადააგლიჯა. ხეხილებიც ძალზედ დააზიანა და ნაყოფი ძირს ჩამობერტყა...

*** იქიდგანვე: აქეთ ავადმყოფობა ხშირია. ყველაზედ უფრო მეტად ყვავილმა დააშინა აქაურები, რომელნიც „დიდს ბატონებს" ეძახიან ამ სენს. მერე იცით, მეგრელს როგორ ეშინიან ამ სენისა? მუხლ-მოდრეკილი ეხვეწებიან „დიდ ბატონებს" ავადმყოფის მშვიდობით განთავისუფლებას... საჭიროა, ვისიც ჯერ არს, სანამ ეს სენი გავრცელდებოდეს, ამცრელი გამოგზავნონ სოფლად...

*** სოფ. შხეფი, (სენაკის მაზრა): ამ სოფლის თემობამ, რომელიც აღდგომის მეთხუთმეტე დღეს იცის, წელს ბევრი მლოცველები მიიზიდა, მაგრამ, როგორც დღეობას სჩვევია, ჩხუბი, აყალ-მაყალი და ხანჯლების ტრიალი წელს წარსულზედ მომეტებული იყო. დაჭრა კაცისა, ხომ ხშირი იყო და ხშირი. კაცებს ჩხუბში არც ჩვენი დალოცვილი და მარჯვე „ხანუმა-ბარიშნები" ჩამორჩნენ. თუმცა ბევრია დაჭრილი კაცებში, მაგრამ ჯერ არავინ მომკვდარა...

*** ს. უდე, (ახალციხის მაზრა): აქაური მცხოვრებლები არიან ძველი ქართველები. დღეს აქნობამდის არავითარი კვალი არ სჩანდა ჩვენს ხალხში სწავლა-განათლებისა; მაგრამ ეს ერთი წელიწადია, რაც სამკითხველოს და ბიბლიოთეკის დაარსების სურვილი გაუცხოვლდა აქაურს ხალხს. ყველა ამის მიზეზი გახდა ვანო პავლეს-ძე მერაბაშვილი, რომელმაც აღძრა ქრისტიანებში თუ მაჰმადიანებში ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს დაარსების სურვილი და თვითონვე იკისრა პირველი ხარჯი. როგორც შეგვპირდა ვ. მერაბაშვილი, მომავალ ოქტომბრის პირველს გაიხსნება სამკითხველო მისს საკუთარს შენობაში. იმედია შემწეობას აღმოუჩენს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ქართულის წიგნების შეწირვით. ჩვენის სოფლის მცხოვრებლების მხრივ დაუვიწყარი იქნება მერაბაშვილის შრომა-მეცადინეობა ჩვენთვის. დიდი მადლობელი ვიქნებით მისი, უკეთუ ჩვენს სასწავლებელს აღმოუჩენს იმნაირს მასწავლებელს, რომელმაც არ იცოდეს ქალ ალდისა და ნარდის თამაში და ჩონგურზედ დამღერა, რომ უკეთესი ყურადღება იქონიოს ჩვენს სასწავლებელზედ.

---

## ფელეტონი

### ყორნის ბრალია.

დილას ყორანმა დამჩხავლა,
ზედ კალოს გადმომიარა:
მაშინვე თითზედ ვიკბინე,
შევძახე „გაგატიალა".
ვიფიქრე,—ვიცი, ფათერაკს
რამეს შემამთხვევს წყეული,
კარგად არა მყავს დაცდილი
შავი, შავ-კაბა, ეული.
არ გაუვლია ერს წუთსა,
შევხედო, მოდის ომარა,
ხელში უჭირავს ჩანახი,
ცხენს უკიდია ტომარა.
წამოიჩოქა ხვავის წინ,
მკლავი მოუშვა, მოხარა,
პურს ვილა ჩივის, ულმერთომ
კინაღამ მიწაც მოთხარა!
ბაითალმანო *) ყორანო,
ეს ხომ სულ შენი ბრალია,
ერთხელაც იქნება დაგხელო
თოფს დავაყარო ფალია,
ორ ფეშხვად გაგათავთავო,
ქარს გავატანო ცალია,
მეორე მურას მივუგდო,
მას ვამტვრევინო ძვალია!

ი. ევდოშვილი.

*) ბაითალმანი: ოხერი.

### ჭირნახულის დაზღვევა მოუსავლობისაგან.

(დასასრული[1])

ჩვენის ფიქრით, უკეთეს საშუალებად ჩაითვლება დაზღვევა ყოველგვარ ნათესისა მოუსავლობისაგან, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული ეს უკანასკნელი, სეტყვა იქმნება ასეთი მიზეზი, თუ გვალვა, თუ სხვა რაიმე მოვლენა, ეს სულ ერთია. ვენახის პატრონთათვის-კი აუცილებელ საჭიროებას უნდა შეადგენდეს ვენახის დაზღვევა, რომელიც ცხოვრების ერთად-ერთი სალსარია ჩვენში არა ერთ და ორ მემამულესათვის და რომელიც ერთობ ფუჭდება სეტყვისაგან.

იდეა დაზღვევისა არც ისე ახალია. ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს ვხედავთ ჩვენ დაზღვევის დასაწყისს. მეტად გაფართოვდა ეს საქმე მიმდინარე საუკუნის განმავლობაში. გამრავალ-გვარდა როგორც საგანი დაზღვევისა, აგრეთვე ის უბედური შემთხვევანი, რომელთაგან აზღვევენ ხოლმე რომელსამე საგანს. წინად მხოლოდ უძრავ თუ მოძრავ ქონებას აზღვევდნენ, ეხლა სიცოცხლის დაზღვევაც შემოიღეს. ადრე მარტო ცეცხლისაგან იცავდნენ სხვა-და-სხვა ქონებას დაზღვევის საშუალებით, ჩვენს დროში-კი ვხვდებით დაზღვევას არა მარტო ცეცხლისაგან, არამედ სეტყვისაგან, საზოგადოდ მოუსავლობისაგან, წყლის მოვარდნისაგან, მიწის ძვრისაგან, ფილოქსერისაგან და სხ. და სხ. ამ ბოლო დროს ხომ მუშათა საქმეში შესამჩნევი ადგილი დაიჭირა და ამის გამო ევროპის სახელმწიფოთა ყურადღებაც მიიქცია მუშათა სავალდებულო დაზღვევამ უბედურ შემთხვევათაგან. უცხოეთის კანონები ვალად სდებენ ქარხნისა და ფაბრიკის მეპატრონეებს მუშების დაზღვევას, ასე რომ იქ ეხლა რამდენიმე მილიონი დაზღვეული მუშა ირიცხება.

დაზღვევის საქმე საშინელის სისწრაფით მიდის წინ დასავლეთს ევროპაში. განსაკუთრებით სეტყვისაგან დაზღვევა მეტად განვითარებულია გერმანიაში. მაგ. ბავარიაში, როგორც გვარწმუნებს ერთი ავტორი[2]), სულ მალე, ამ მოკლე ხანში ერთი ოჯახობაც არ დარჩება მისთანა, რომელსაც დაზღვეული არ ექმნეს სეტყვისაგან თავისი ჭირნახული.

რით აიხსნება ასეთი წარმატება, ასე სწრაფი გავრცელება დაზღვევის ოპერაციებისა ევროპაში, თუ არა იმ აზრით, რომელსაც იგი ემსახურება, თუ არ იმ დედა-აზრით, რომელიც მისს საფუძველს შეადგენს. რაზედაც უნდა იყოს აგებული დამზღვეველი დაწესებულება, სააქციონერო, საურთიერთო თუ სახელმწიფო პრინციპზედ, ყოველგვარ დაზღვევის დედა აზრი მაინც ერთია: განაწილება ყველა მცხოვრებლებზედ ანუ მხოლოდ რომელიმე ჯგუფზედ იმ ზარალისა, რომელიც თითოეულს კაცს დაატყდება ხოლმე რაიმე უბედურ შემთხვევის გამო. დაზღვევის შესახებ აი რას ამბობს ერთი უცხოელი პოლიტიკო-ეკონომისტი[3]): „სოციალურის თვალთა ხედვის ისრით დამზღვევი საზოგადოება ერთი საუკეთესო თავისუფალ დაწესებულებათაგანია; იგი საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან კავშირს ამტკიცებს, ასწავლის სიფრთხილეს და უზრუნველყოფს დაუმსახურებელ გაღარიბებისაგან, რომელიც კაცის ხელთ არ არის ხოლმე".

ამისთანა სასარგებლო და ნაყოფიან დაწესებულებით მოსალოდნელი იყო, უნდა ესარგებლა ევროპას და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ამ საქმემ ვრცელი ნიადაგი იპოვა.

რუსეთში-კი და, მაშასადამე, ჩვენშიაც, ამისთანა წარმატებას დაზღვევის საქმეში ჩვენ ვერ ვამჩნევთ. სეტყვისაგან დაზღვევამ ხომ თითქმის ეხლახან აიდგა აქ ფეხი. ამის მიზეზი,

[1]) იხ. „ივერია" № 94.

[2]) იხ. „Страхованіе отъ градобитія" В. Таргонскаго.

[3]) იხ. Росси. Курсъ политической Экономіи.

## პროექტი ბანკის საზოგადო კრებათა შეცვლისა და წარმომადგენლობითის წესის დადგენისა.

როგორც ვუწყით, საზოგადო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა მოწვეულია 9 მაისისათვის. ამ კრებამ, სხვათა შორის, ერთი საყურადღებო საგანი უნდა განიხილოს, ეს საგანია პროექტი საზოგადო კრებათა შეცვლისა და წარმომადგენლობითის წესის დადგენისა. ამიტომ ეხლავე გავაცნობთ ამ პროექტს, ბანკის მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებულის მიერ შემუშავებულს, ჩვენს მკითხველებს. პროექტით საზოგადო კრება უნდა შესდგეს დამფუძნებელ თავად-აზნაურთა 125 რწმუნებულისა და მსესხებელთა 75 რწმუნებულისაგან, რომელნიც არჩეულნი უნდა იყვნენ სამის წლის ვადით ორის ერთმანერთისაგან განცალკევებულ საარჩევანო კრების მიერ. საარჩევანო კრება დამფუძნებელ თავად-აზნაურობისა ცალკე უნდა შესდგეს ყოველ მაზრისათვის, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ მაზრის თავად-აზნაურმა დამფუძნებლებმა. ასეთი სამაზრო საარჩევანო კრება დაწესებული იქნება მხოლოდ ხუთის მაზრისათვის: ტფილისისა, გორისა, დუშეთისა, თელავისა და სიღნაღისათვის. დანარჩენნი მაზრანი, რომლებშიაც დამფუძნებელნი თავად-აზნაურნი ცოტანი არიან, როგორც თიანეთისა, ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოსი, უნდა შეუერთდნენ უმახლობელესს, მეზობლობისა და მისვლა-მოსვლის სიადვილის მხრივ, საარჩევანო კრებას: დამფუძნებელ თავად-აზნაურთა სამაზრო საარჩევანო კრება მოწვეულ იქმნას სამაზრო ქალაქში ზედამხედველ კომიტეტის დადგენილებისამებრ. დასახელებულ ხუთ სამაზრო საარჩევანო კრებისაგან ყოველს მათგანს ცალკედ ნება აქვს თავისს დამფუძნებელ თავად-აზნაურთა შორის ამოირჩიოს 25 რწმუნებული და 5 ამათი კანდიდატი.

წევრთა-მსესხებელთა საარჩევანო კრება ერთი უნდა იყოს საერთოდ ყველა საურთიერთო თავდებობით გაცემულ მსესხებელთათვის და მოწვეული ტფილისში ზედამხედველ კომიტეტის მიერ. ნუსხა როგორც წევრთა-დამფუძნებელთა, ისე მსესხებელთა, რომელთაც უფლება ექმნებათ საარჩევანო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა, ბანკის ზედამხედველის კომიტეტის მიერ უნდა იყოს შედგენილი. საარჩევანო კრებებზედ არჩევანი კენჭის ყრით უნდა მოხდეს. რწმუნებულად ამორჩეულად მხოლოდ ისინი ჩაითვლებიან, რომელნიც კრებაზედ დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზედ მეტს კენჭს მიიღებენ. საჩივარი ამა თუ იმ რწმუნებულის ცალკე ანუ საერთოდ ყველას არჩევანის შესახებ ზედამხედველმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და გარდასწყვიტოს.

რწმუნებულთა საზოგადო კრება ტფილისში უნდა იქმნას მოწვეული. კრება ორგვარი იქნება: ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი საზოგადო კრება ყოველს წელიწადს უნდა მოხდეს მაისის თვეზედ არა უგვიანესს, ხოლო საგანგებო მოწვეულ იქნება ზედამხედველ კომიტეტის მიერ. საგანგებო კრება მაშინაც უეჭველად უნდა იქმნას მოწვეული, თუ მისის მოწვევის სურვილი 50 რწმუნებულმა განუცხადა წერილობით ზედამხედველს კომიტეტს, ხოლო ამა განცხადების შეტანის დღიდგან ერთს თვეზედ არა უგვიანეს-კი. საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება, როდესაც დამფუძნებელ თავად-აზნაურობის 50 რწმუნებულზედ ნაკლები არ დაესწრება. საზოგადო კრებამ ყოველი საგანი უბრალო ხმის უმეტესობით უნდა გარდასწყვიტოს, ხოლო თუ ეს საგანი ამა წესდების შეცვლასა და შევსებას შეეხება, მაშინ იმის გარდასაწყვეტად დამსწრე წევრთა ორის მესამედის კენჭია საჭირო.

---

## კორესპონდენცია.

—

**ქ. ქუთაისი:** 30 აპრილს აქაურს თეატრში ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობისაგან ტფილისის არტისტების ქ-ნ ავალიშვილისა და შათირიშვილის მონაწილეობით, ჩვენის ავადმყოფ არტისტის ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენა იყო გამართული. ითამაშეს ოთხ მოქმედებიანი კომედია ოსტროვსკისა „უბრალოდ დასჯილნი“ და „უბედური დღე“, ვოდევილი ერთ მოქმედებად ვ. ა. ბალანჩივაძისა.

უმთავრესს როლებს ოსტროვსკის პიესისას თამაშობდნენ ტფილისის არტისტები: კრუჩინინისას ავალიშვილისა, ნეზნამოვისას — ალექსი-მესხიშვილი და შმაგასას შათირიშვილი. ამ არტისტების ხელოვნურმა თამაშობამ მეტად ასიამოვნა ჩვენი საზოგადოება, რომელიც ამ წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა და ბევრიც აცინა საზოგადოება ბალანჩივაძის მოხდენილმა თამაშობამ, რომელიც ასრულებდა იმერელ გოგიას როლს. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

წმინდა შემოსავალი იყო სამას ოც-და-ხუთი მანეთი; გარდა ამისა რამდენიმე თუმანი ხელის-მოწერითაც იყო შეგროვილი.

ქ-ნ ავალიშვილისას რამდენიმე თაიგული მიართვეს. აგრეთვე მიართვეს დაფნის ფოთლებისაგან გაკეთებული გვირგვინი ალექსი-მესხიშვილს.

აქ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ, ჩვენ ქართულ დასის ამხანაგობას გარდა ერთი-ორიოდისა: აგერ ორი წელიწადი იქნება სცენაზედ გამოდიან, თამაშობენ და დღემდე-კი როლების დასწავლასაც ვერ შესჩვევიან. ამ წარმოდგენაზედ თითქმის ყველანი კოჭლობდა როლების ცოდნაში გარდა ბ-ნ ვ. ბალანჩივაძისა. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ ნაკლს შემდეგისათვის უეჭველად აიცდენენ.

—

**სოფ. სალომინაო,** (ქუთაისის მაზრა). სოფელი სალომინაო მდებარეობს ქ. ქუთაისიდგან ოც-და-ხუთს ვერსზედ და დაბა ბაღდადზედ ათს ვერსზედ და ახლო-მახლოს არც ქალაქი და არც დაბა არა აქვს. ხუთ სოფელს გარდა, რომელნიც ისევე მიყრუებულნი და მივიწყებულნი არიან, როგორც სალომინაო: უხუთი, ბაგინეთი, ზეინდარი, როხი და ნოღა. ამ ექვსს სოფელში არსად არ არის ერთი რიგიანი სასწავლებელი, არც აფთიაქი, არც ექიმი, არც ფერშალი. არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთში სალომინაოს ნაკლულევანებანი და სამწუხარო, გაჭირვებული მდგომარეობა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ყურიც არავინ გაიბერტყა. ის მამაცხონებული ბოქაული ერთხელ არ გადმოვა აქ და არ გამოიძიებს ჩვენს გაჭირვებასო. იქ ბაღდადში წასვლას კარგი ბედაური ცხენი უნდა, ამ ვიწრო სამ-ოთხ ადლიან ორღობებში არ ჩავიჩჩვეთ ტალახსა და წყალშიო და ცხენი-კი არა, კამეჩიც არ შეგვარჩინესო და სხვა.

აქეთ ისეთი საძაგელი გზებია, სამ-ოთხ ადლიანი და გზაზედ საცურაოდ გამდგარი წყალ-ტალახი, რომ ზამთრობით გარედ ვერ გამოდის კაცი და მეზობლისას ვერ მიდის, სადმე ჩაიჩხება საცოდავად.

აპრილის პირველს რიცხვებში ჩვეულებისამებრ დატრიალდა ხანჯლები სალომინაოში. აზნ. გამყ. ტყუილ-უბრალოდ სახლის კაცი ბიძაშვილი მძიმედ დასჭრა თავში ხანჯლით. იმავე რიცხვებში იქვე ვიღაცა გლეხმა აზ. ერისთავი სასიკვდილოდ დასჭრა, მგონი კიდეც გარდაიცვალა.

წამოეზრდება თუ არა ოჯახს ვაჟი, ათი-თორმეტის წლისა, პირველი თხოვნა ესაა: მამაჩემო, ერთი კარგი ხანჯალი მიყიდეო; „კი, შვილო, გავალ ზაფხულში ქუთაისს და მოგიტანო“, უპასუხებს მამა და იმას-კი არ ეუბნება, აი იქ პატარა სამრევლო სასწავლებელია, წადი, ანაბანა ისწავლე, ხანჯალს ეგ სჯობიაო და სხვა. მუშა გლეხი დილა ადრიანად გარბის თავისს სარჩო-საბადებელ ჭირნახულის სანახავად. ჭნახავს, რომ წინა ღამეს ღობე-მესრული შემოურღვევია ვიღაც ბოროტს სულს, იცემს თავში ხელს, ვაი, ჩემო საწყალო ცოლო და შვილოო! მაგრამ რას უშველის. კარგია თუ ეს აკმარეს, ხშირად ყანაშიაც სიმინდი ნახევრობით აჭრილი დახვდება. მეორე კიდევ იმასა სჩივის, ქვევრში ამოულოკნიათ ღვინოებიო, მაგრამ ცალიერი ჩივილი ვის დასდებია წამლად, რომ ამათ დაედოთ.

ათ. ბებურიშვილი.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

საყურადღებოა აზრი საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განოტოს ორგანოს, გაზ. „მატან“-ისა ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის საქმის შესახებ; აი, რას ამბობს ეს გაზეთი:

„ჩინეთი რომ სრულიად ჩავარდნოდა ხელში იაპონიას და რომ ამ უკანასკნელს ეზრუნა რათა ჩინეთში განათლება შეეტანა, ამ შემთხვევაში ჩინელთა განვითარება ძალიან საშიში იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრობისათვის და შემდეგში თვით საფრანგეთის ადგილებისათვისაც აზიაში. მარტო სანტიმენტალურ მოსაზრებით ხელმძღვანელობა სრულიად არ ივარგებდა, აქაო და იაპონელთ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ საფრანგეთთან და ჰსურთ კულტურულად დაუახლოვდნენ ამ უკანასკნელსაო.“

და ამ სიტყვებს ამბობს რესპუბლიკურ საფრანგეთის მინისტრის ორგანო! როგორ შეიცვალა დრო და აზრი?!

—

გაზეთ „კვალის“ მე-19 №-ში დაბეჭდილია წერილი შესახებ წერა-კითხვის მდგომარეობისა სამეგრელოში. კორესპონდენტი მართლაც რომ სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს. იგი ამბობს: წინად როგორც იყო, ცოტად თუ ბევრად მაინც ვრცელდებოდა აქ სამშობლო ენაზედ წერა-კითხვა და განათლება.

„ხოლო ამ წლებში, როგორც მოეხსენებათ ჩვენს ასეთ თუ ისეთ ცხოვრების თვალ-ყურის მდევნელს, სამეგრელო სრულიად ჰკარგავს სამშობლო ენას. ეს ენა, რომელზედაც უწერ ულაპარაკნიათ ათასი წლის წინათ მეგრელთა წინაპირებს, თავს უკრავს მას და ვითომ ეუბნება: „მშვიდობით, გეთხოვები, დღეის იქით არ მინდა შენი სამსახური, შენ ჩემთვის უსარგებლო ხარ... მე ახალს ლიტერატურას ვიარსებ, ახალს ცხოვრებას ვიწყებ ახალი მიმართულებით, შენ შენთვის — და მე ჩემთვისო!..“ ვაი! შეხედეთ, რა სიტყვებით ისტუმრებს ეს დალოცვილი სამშობლო ენას, რა ნაირად შორდება თავის მოძმე-ამხანაგს და რა ნაირათ უნდა იცვალოს რჯული წმინდა და ჭეშმარიტი!.. არა,

---

უეჭველია, შესატან გარდასახადის სიდიდე და კერძო საზოგადოებებში სათადარიგო (ЗАПАСНЫЙ) თანხის სიმცირე არის, ზოგჯერ-კი თითქმის სრულიად უქონლობა, როგორც მაგალ. აღმოჩნდა ამ ბოლო დროს ერთ-ერთს დამზღვეველ საზოგადოებაში[*]), აქ, რასაკვირველია, დაზღვევის წარმატებას ეღობება აგრეთვე მისის მნიშვნელობის გაუგებრობა და დაუფასებლობა უმრავლესობის მიერ, რაიც შედეგია განათლების მცირედ გავრცელებისა ხალხში.

ეხლა ვიკითხოთ, თუ რა ტიპის დამზღვეველი საზოგადოება უკეთესია ჩვენში დასაარსებლად?

დამზღვეველი საზოგადოებანი რუსეთში ორგანიზაციის მიხედვით განირჩევიან ამ ნაირად: 1) აქციონერული დამზღვეველი საზოგადოებანი, 2) საზოგადოებანი ურთი-ერთთა შორის დაზღვევისა და 3) საქალაქო, საერობო და სახელმწიფო დამზღვეველი საზოგადოებანი. უმეტესი ნაწილი ამ საზოგადოებათა ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვეველია, დანარჩენთა შორის-კი ზოგი სიცოცხლის დამზღვეველია, ზოგი ტრანსპორტებისა, ზოგი-კი ერთ-დროულად რამდენიმე დანიშნულებას ასრულებს. ხოლო ყველა ამ დასახელებულ დამზღვეველ საზოგადოებათა შორის უპირატესობა უნდა მიეცეს ურთიერთთა შორის დაზღვევის საზოგადოებათ, რადგან მათს ორგანიზაციას ბევრი კარგი მხარე აქვს სხვა სახის დამზღვეველ საზოგადოებებთან შედარებით. ჯერ ერთი, რომ ამ პირველ გვარ საზოგადოებებში დამზღვეველი უფრო ნაკლებს დასაზღვევ პრემიას იხდის, ვიდრე სხვებში, რაიც არა ერთხელ აიძულებს აქციონერულ საზოგადოებებს შეამცირონ დაზღვევისათვის შესატანი პრემიები, მაგრამ ხოლო იმ დრომდე, ვიდრე ურთიერთთა შორის დაზღვევის საზოგადოებანი მათ მოცილეობას უწევენ: შენიშნეულია, რომ იქ, სადაც არსდება ურთიერთთა შორის დაზღვევის საზოგადოებანი, აქციონერული საზოგადოებანი შესატანს გარდასახადს (პრემიებს) აიაფებენ, რათა ხელიდგან არ გაუშვან დამზღვეველნი; შემდეგ-კი, როდესაც ამ გვარად განსაცდელს თავიდგან აიცილებენ და აღარაფრის შიში აღარა აქვთ, ისევ მაღლა სწევენ პრემიებს და ჩვეულებრივ ივსებენ ჯიბეს. მაშინ როდესაც აქციონერული დაზღვევა დაფუძნებულია აქციონერულ, სამრეწველო პრინციპზედ (ამას სხვანაირად ეძახიან კომერციულ დაზღვევას), მეორე გვარ დამზღვეველ საზოგადოებების საფუძველს შეადგენს — ურთიერთთა შორისი შემწეობა. აქედგან ცხადია, პირველ ტიპის საზოგადოებებში მონაწილეთა-აქციონერთა ინტერესი ის არის, რომ დამზღვეველთ რაც შეიძლება მეტი გარდაახდევინონ, საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებებში-კი, პირიქით, პირადი ინტერესი მონაწილეთა, რომელნიც ერთ დროულად დამზღვეველნიც არიან და მეპატრონენიც, მუდამ იქითკენ მიიწევს, რომ, რამდენადაც შეიძლება, შეამცირონ შესატანი გარდასახადი დაზღვევისათვის იმ minimum-დე, რომელიც საჭიროა როგორც ზარალის გასაძლოლად, აგრეთვე სათადარიგო თანხის შესადგენად. პრემიების შემცირების გარდა, ურთიერთთა შორის დაზღვევას ერთი კარგი შედეგიც ექმნება: როდესაც ოპერაციების გავრცელებასთან ერთად საზოგადოების მოგება იმდენად იმატებს, რომ შესაძლებელი გახდება იმოდენა სათადარიგო თანხის შედგენა, რომლის სარგებლითაც საზოგადოებას შეეძლება გაისტუმროს დამზღვეველთა ზარალი, მაშინ დამზღვეველნი, შესაძლებელია, არამც თუ განთავისუფლდნენ ყოველ გარდასახადისაგან დაზღვევისათვის, არამედ სათადარიგო თანხისაგან დარჩენილი ფული, ზარალის გასასტუმრებლად ფულის ზედ-მეტი ზოგიერთს სხვა საზოგადო საჭიროებასაც მოახმარონ.

იმის მიხედვით, რაც ჩვენ ზემოდ ვსთქვით დამზღვეველ საზოგადოებებზედ, უფრო სასარგებლო იქმნებოდა, ჩვენის ფიქრით, რომ ჩვენ მიწათმფლობელთა დაიარსონ საურთიერთო საზოგადოება, დამზღვეველი ჭირნახულისა მოუსავლობისაგან. საქმის გასაადვილებლად შესაძლებელია დავიწყოთ სულ მცირე ოპერაციებით: ჯერ ხანად დაარსდეს საზოგადოება, რომელიც დაიზღვევს ყოველნაირს ნათესსა და ვენახს, მაგრამ თავდაპირველად არა ყოველნაირ მავნე მოვლენათაგან გამოწვეულ განადგურებისაგან, არამედ მხოლოდ სეტყვისაგან, რადგან ეს უკანასკნელი მეტად საგრძნობელია, ერთობ მავნებელია ჩვენ მეურნეთათვის. თუ ესეც გაძნელდება, მაშინ შეიძლება დაიზღვას არა მთელი მოსავალი ან არა ყოველი სამეურნეო მცენარე და მიწის ნაყოფი სეტყვისაგან, არამედ მხოლოდ ნაწილი მოსავლისა ან მხოლოდ ზოგიერთი ჩვენში უმეტესად გავრცელებული სამეურნეო მცენარე, როგორც ეს ერთხელ განიზრახეს რუსეთში ერობებმა. ასე დაწყებული საქმე, ვგონებ, ძნელი მოსაწყობი არ იქმნება. შემდეგ-კი საზოგადოების ოპერაციები გაფართოვდება და მაშინ შეიძლება შევუდგეთ მთელის ჭირნახულის დაზღვევას ყოველ მოუსავლობისაგან. უკანასკნელ თუ ისე ვიწროდაც, როგორც ზემოდ ვსთქვით, ვერ დავიწყეთ საქმე, თუ რაიმე დაბრკოლება აღმოგვიჩნდა ამ

---

[*]) ამნაირმა არა-სასურველმა მსვლელობამ საქმეებისამ და მტკიცე ნიადაგს მოკლებულმა მოქმედებამ რუსეთის დამზღვეველ საზოგადოებათა გამოიწვია ეხლახან მთავრობის განკარგულება, რომელმაც კერძო დამზღვეველი საზოგადოებანი მთავრობის კონტროლის ქვეშ დააყენა.

მკითხველო, ასე ფიქრობენ და სურთ მხოლოთ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის „ჰეროსტრატებს“ და მის მიმდევართ, სხვა დანარჩენი მეგრელები, რომელნიც ამ საქმეს შეგნებულათ უყურებენ, ძლიერ გულ-შემატკივრობენ ასეთ გარემოებისათვის, როგორიც არის სამშობლო ენის დაკარგვა ისინი „გულ-შემატკივრობენ!“ მაგრამ ეს გულ-შემატკივრობა კვნესა-გოდება მარტო არაფერს გვარგებს; ჩვენს უამისოთ დაბნეულს გაფუჭებულს საქმეს კეთილს გზაზე ვერ დააყენებს. აქ არის საჭირო გარდა სიტყვისა და „ფორმალურის“ თანაგრძნობისა, მოქმედება საქმით, საქმის დაწყება და გაგრძობა“.

ეს მგოდებელნი, განაგრძობს კორესპონდენტი, იმით იმედოვნებენ, რომ თვით დროთა ვითარება შესცვლის ამ სამწუხარო ანორმალურს მდგომარეობას, მაგრამ ტყუილი იმედია. მართალია, მდაბიო ხალხი თავისს დედა-ენად ქართულს ენას სთვლის, მაგრამ თუ დროზედ არ მივეშველენით საქმეს, მერე „რჯულის გამოცვლა და კვლავ მისი მიღება, რომელისამე ტომისათვის მეტის-მეტად ძნელიაო“. ხალხი ჰკარგავს თავის სამშობლო ენას, ჰკარგავს იმიტომ, რომ ქართულს წერა კითხვას სამეგრელოში არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული; სამაგიეროთ, რა გგონიათ, მკითხველო? აქ ახალი „მეგრული ლიტერატურა“ სუფევს, ახალს პედაგოგიურს ნიადაგზე დამყარებული. საზოგადოთ ყველა აქაურ სამინისტრო შკოლებში ვითომც „მეგრულს ანბანს“ და მაზე წერა-კითხვის გავრცელებას დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი ყველასგან. ეს ახალი „გამომცხვარი“, ვითომ „მეგრული ანბანი“ თითქმის იგივეა, რაც რუსული აზბუკა, მხოლოთ ზოგიერთ მიბმულ-გამობმულ კუდები ასხვაფერებს მას—ის არხეინათ გადადის რუსულ ანბანიდან მეგრულზედ და მეგრულიდან—რუსულზე, დომხალივით ურევს ერთმანეთს, როგორც ანბანს, აგრეთვე სიტყვებს დი ბოლოს გამოდის „რუსულ-მეგრული სიტყვა-წყობილება“, შემდეგ კი, უეჭველია, ამას კიდევ უფრო ცუდი შედეგი მოყვება!....

ქვემოხსენებული უტყუარი მაგალითი ნათლათ დაარწმუნებს მკითხველს, თუ რა მდგომარეობაშია წერა-კითხვა ქართულს ენაზე სამეგრელოში. ერთს (ჩემს მეზობელს) მეგრელ გლეხს სოფ. კ... წერილი მოუვიდა გარეშე სოფლიდან, რასაკვირველია ქართულს ენაზე დაწერილი, გლეხმა მიუთითა თავის შვილებს წასაკითხავათ (ერთი მისი შვილი სამინისტრო შკოლაშია, ხოლო მეორე—ზ... სამოქალაქო სასწავლებელში); მაგრამ „ჩვენმა“ ახალგაზდა შეგირდებმა ყურებიც არ დაიბერტყეს; მათ როგორ შეეძლოთ წაკითხვა, როცა ქართული ანბანიც არ ესწავლათ. ბოლოს მე ვუშველე მათ..

არის სამეგრელოში ერთი-ორი სამრევლო სკოლა, სადაც ქართულს ენას ჯერ სული არ დაულევია სრულებით, მაგრამ აქაური გლეხები მომეტებულ ნაწილად სამინისტრო სკოლაში აძლევენ თავისს შვილებს. გარდა ამისა აქ არც ჟურნალ-გაზეთებს იწერს ვინმე, არც სამკითხველო მოიპოვება და არც ზრუნავენ ამეების შესაძენადაო. მართალს ამბობს კორესპონდენტი.

„უეჭველია, მკითხველს თვალწინ წარმოუდგებოდა მეგრელთა საზარელი სამწუხარო მდგომარეობა, თუ არ იყო მისი მცოდნე, და ამ დროს, თუ არა საქმით, სიტყვით მაინც წამოიძახებს: ოჰ, რა მდგომარეობაშია ჩვენი მოძმე!..“

იმედია, ყოველი გულ-შემატკივარი ქართველი მიიღებს მხედველობაში ამ სამწუხარო მოვლენას და რითაც-კი შეუძლიან შეებრძოლება ამ ცუდს მდგომარეობას.

კერძო გულ-შემატკივართა გარდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განსაკუთრებითს ყურადღებას მიაქცევს და დროზედ მიეშველება სამეგრელოს.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ლორდი როზბერი დაესწრო ამ დღეებში აკადემიის წლიურს ბანკეტს. ბანკეტზედ დალიეს იმპერატრიცისა და მთავრობის სადღეგრძელო; სამადლობელი დალია როზბერიმ და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გაკვრით იაპონიის საქმეს შეეხო. „ახალი აღმოსავლეთის საქმეო, სთქვა ინგლისის პირველმა მინისტრმა, უწინდელ ყველა საქმეებზედ უფრო დიდია, უფრო მნიშვნელოვანია, შორეულ აღმოსავლეთის საქმე დასაფიქრებელიც არის და საშიშიც მომავალისათვისაო.“

—

ინგლის-სომეხთა ასოციაციის თავმჯდომარემ ამ დღეებში სთხოვა გლადსტონს, იკისროს თავმჯდომარეობა იმ მიტინგისა, რომელიც მალე უნდა მოხდეს ოსმალეთისათვის პროტესტის გამოსაცხადებლადაო. გლადსტონმა უპასუხა, რომ მას ავადმყოფობის გამო არ შეუძლია ეს მძიმე მოვალეობა იკისროს, თუმცა დიდი თანამგრძნობელია სომხებისა. „მე დავრწმუნდიო, სწერს სხვათაშორის გლადსტონი, რომ ოსმალების მთავრობის ყოფაქცევა სომხების შესახებ უფრო ცუდია, ვიდრე ბოლგარელთ შესახებ იყო. რითაც შემეძლება უთუოდ დავეხმარები ამ სამართლიანსა და ქრისტიანულს საქმესაო.“

—

ლონდონში სტამბოლიდგან ატყობინებენ. იმ ცვლილებებს, რომლებიც შემოღებულ იქმნა ოსმალეთში ელჩთა წინადადებით, ერთი მესამედი მოხელეთა უნდა შესდგეს ქრისტიანეთაგან. შესახებ გენერალ გუბერნატორების დანიშვნისა სახელმწიფოთ ეძლევათ უფლება არ დაამტკიცონ. კომისია, რომელსაც თვალყური უნდა ეჭიროს რათა ყოველივე ცვილლება პირობისამებრ სისრულეში იყოს მოყვანილი, შესდგება არა-ევროპიელთაგან. კომისარის დანიშვნა სამთა სახელმწიფოთა თანხმობით უნდა მოხდეს.

სდგება აგრეთვე კომისია სომეხ მუსულმანებისა, მათ თვალ-ყური უნდა ადევნონ იმ სახელმწიფო მოსამსახურე პირებს, რომელნიც სომეხთა უწყებებს განაგებენ. პოლიციელნი შესდგებიან ოსმალებისაგან და ქრისტეანებისაგან. არსდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და თვალყური უნდა ადევნონ საპყრობილეებს. სასუნის მცხოვრებლებს მიეცემათ ჯილდო. ქურდებს იარაღი ჩამოერთმევათ.

—

**ჩინეთი.** პეკინში გერმანიის ელჩად ნამყოფმა ბრანდტმა ჰამბურგის საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზედ ამ დღეებში წაიკითხა საყურადღებო მოხსენება ჩინეთის განათლება-განვითარების შესახებ. რეფერენტის აზრით, ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოთა იმედი ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების შესახებ ტყუილი არისო. სიმონოსეკის ხელშეკრულობაში, მართალია, ჩამოთვლილია ზოგიერთი ნავთ-სადგურები, რომელთ კარები ამიერიდგან ღია იქნება ევროპიელ გემებისათვის, მაგრამ არც ამ გარემოებას ექნება დიდი მნიშვნელობა ევროპის ინტერესებისთვის. ამ ნავთ-სადგურებში უწინაც თავისუფლად შედიოდნენ ევროპის გემები, მაგრამ ამით ვაჭრობა არ გაძლიერებულა. ჩინეთი მეტის-მეტად დიდია და არ შეიძლება იქ მოკლე ხანში ყველა საჭირო ცვლილება მოხდეს. ბუნებრივი სიმდიდრე ჩინეთს ბევრი აქვს, როგორც მაგალითად რკინა, ქვა-ნახშირი, მაგრამ მათი თვისება ჯერ არ ვიცით და კარგიც რომ იყოს, უგზობის მეოხებით სიმდიდრეთ ექსპლოატაცია დიდად გაჭირდება. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეფორმების შემოღება სახელმწიფო ხარჯის მომატებას გამოიწვევს, ხალხს გარდასახადს მოუმატებენ, ეს ხალხს დააღარიბებს და ევროპიულს საქონელს გასავალი არ ექნება.

მიუხედავად ამისა, ბრანდტი თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთს, ჰსურს მისთვის განათლება და განვითარება. აქამდის ჩინელები მხოლოდ ყიდულობდნენ ჩვენ საქონელს, ამიერიდგან ისინი თვით შეიქნებიან მწარმოებელნი. შეუძლიან მათ კონკურენცია გაუწიოს ევროპამ? ძალიან ძნელი იქნება კონკურენცია იმ ხალხთან, რომლის მუშა რამდენჯერმე უფრო ნაკლები ფასით კმაყოფილდება, ვიდრე ევროპის მუშა! კონკურენცია მით უფრო ძნელი იქნება, რომ ჩინელთ და იაპონელთ ხელთ აქვთ აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე და ის მასალა, რომლიდგანაც საქონელი მზადდება!

## ქალები ევროპის უნივერსიტეტებში.

—

ყველაზედ უკეთესად განათლების საქმე უმაღლესს სასწავლებლებში ინგლისშია მოწყობილი. ევროპის დანარჩენს სახელმწიფოებში უფრო უკან არის ჩამორჩენილი ეს საქმე, მაგრამ დღეს ყველა სახელმწიფო სცდილობს, რაც შეიძლება წინ წასწიოს ქალთა განათლება და ჯეროვანს ნაყოფსაც იძლევა ამ ბოლო დროს. თვით გერმანიაშიაც-კი, სადაც ქალთა განათლება მეტად შეფერხებულია სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რამდენიმე ფაქტი შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს აზრი თან-და-თან ძლიერდება და ვრცელდება, თუმცა აქაური ქალები დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ უმაღლეს განათლების მიღების შესახებ. იმის გამო, რომ მრავალმა ქალმა განაცხადა სურვილი უნივერსიტეტებში შესვლისა, რათა უმაღლესი განათლება მიეღოთ, საერო განათლების მინისტრმა პრუსიაში მიჰმართა ამ აზრით უნივერსიტეტებს და დაეკითხა. ამის შემდეგ ქალთა უმაღლეს განათლების საქმეს უკეთესობა დაეტყო. პირველი და უფრო თამამი ნაბიჯი ამ მხრივ გეტტინგენში იქმნა გადადგმული. პირველ ხნობაზედ პროფესორებმა დაჰრთეს ნება ქალებს კერძო კურსებზედ ყურის გდებისა, რომლისათვისაც უთუოდ უნდა აეღოთ ხოლმე სპეციალური ნებართვა. მაგრამ რამდენისამე თვის შემდეგ საუნივერსიტეტო სენატს წარუდგინა წინადადება ერთმა გამოჩენილმა პროფესორმა, რომლითაც ითხოვა, რომ ქალებს ნება ჰქონიყოთ ფილოსოფიის კურსის ლექციებისათვის ყური ეგდოთ, პრაქტიკულად ემეცადინნათ და ეგზამენის დაჭერის შემდეგ ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიეღოთ. ეს წინადადება უმეტესობისაგან მიღებულ იქმნა და ამ ჟამად გეტტინგენში ფილოსოფიის ფაკულტეტზედ 12 სტუდენტი ქალი ითვლება. ლეიპციგში პროფესორთა უმეტესობა ნებას აძლევს ქალებს, ლექციებს ყური უგდონ და პრაქტიკულად მეცადინეობას დაესწრნენ ხოლმე, ხოლო მონაწილეობის მიღების ნება პრაქტიკულად მეცადინეობაში არა აქვთ ჯერჯერობით. ლეიპციგის უნივერსიტეტი არ აძლევს ქალებს დოქტორის წოდებას და რაიმე უფლებას. ჰეიდელბურგში და ბერლინში-კი მხოლოდ ათასში ერთხელ აძლევდნენ ხოლმე აქამდის ლექციების მოსმენის ნებას.

რამდენიმე სიტყვაც საფრანგეთის შესახებ. ამ სახელმწიფოს მდგომარე-

---

მხრივ ის მაინცა ვქმნათ ამ ჟამად, რომ მოსკოვის დამზღ. საზოგადოების წინადადებას ჩვენში განყოფილების დაარსებაზედ ხელი შევუწყოთ და იქ დავაზღვევოთ ნათესი თუ ვენახი. ჩვენ, ერთი სიტყვით, მუდამ უნდა გვახსოვდეს ის ჭეშმარიტება, რომ რამდენად უფრო გავრცელებული იქმნება ჩვენს ქვეყანაში დაზღვევა, იმდენად მეტად უზრუნველ-ყოფილი იქმნება ჩვენის ხალხის მეურნეობა, იმდენად უფრო ნაკლებ დამოკიდებული იქმნება იგი სხვა-და-სხვა შემთხვევათა და მავნე მოვლენათაგან.

ჭირნახულის დაზღვევა დიდად სასარგებლო იქმნება ორივე მხარესათვის, როგორც იმ პირთათვის, რომელნიც დააზღვევენ მოსავალს, აგრეთვე დამზღვეველ დაწესებულებისათვის. სწორედ არაფერი გასაჭირია ჩვენის მიწათმფლობელისათვის ყოველ-წლიურად მცირე სარგებლის გარდახდა დაზღვევისათვის, ხოლო დიდად სასარგებლო-კია მისთვის უზრუნველჰყოს თავისს მამულში განსაზღვრული საშუალო მოსავალი. ამ გვარად, რაკი მას არავითარი ეჭვი არ ექმნება მოსავლის მხრივ და მტკიცე ნიადაგზედ ექმნება დაბჯენილი ფეხი, მაშინ იგი თავის მეურნეობის გაუმჯობესებასაც უფრო ადვილად მოჰკიდებს ხელს. გარდა ამისა იგი ამ დაზღვევის წყალობით შეიძლებს არა მარტო თავისის საკუთარ მამულის მოვლა-პატრონობას, როგორც რიგია და იძულებული არ იქმნება იგი გაჰყიდოს, არამედ სხვა მიწების შეძენასაც მოახერხებს, რადგან მას განსაზღვრული % შემოსავლისა მუდამ უზრუნველ-ყოფილი ექმნება, ვიდრე დაზღვეული იქნება მოსავალი. კიდევ ბევრი სხვა კარგი მხარეები აქვს ჭირნახულის დაზღვევას,[5] მაგრამ ჩვენ ამ წერილში მათს დაწვრილებით ჩამოთვლას და გარჩევას არ გმოვუდგებით: ნათქვამიც საკმარისია მისთვის, რომ ნათლად დავინახოთ მისი დიადი მნიშვნელობა და სარგებლობა ჩვენ მიწათმფლობელთათვის.

რაც შეეხება თვით დამზღვეველს საზოგადოებას, შეუძლია თუ არა იბოგინოს ამგვარმა საზოგადოებამ ჩვენში, ამაზედ ეხლა მეტს ვერაფერს ვიტყვით იმის გარდა, რაც ვიცით სხვა ათასნაირ, სხვა-და-სხვა დანიშნულებით დაარსებულ დამზღვეველ საზოგადოებებზედ. პრაქტიკა ამ დაწესებულებათა იმას გვეუბნება, რომ თუ დაზღვევის საქმე კარგად არის დაყენებული თავ-და-პირველადვე და რიგიანად აწარმოებენ, ყველგან და ყოველთვის საკმაო მოგება მოაქვს მას, მიუხედავად იმისა, რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს დაზღვევა. მაშასადემე, კარგს პირობებში დაწყებული და შემდეგ გონივრულად წარმოებული დაზღვევა ჭირნახულისა არა დროს არ მოგვცემს ზარალს, ასე რომ ამ მხრივ ჩვენ შიში არ უნდა გვქონდეს.

რაკი კითხვა დაარსებაზედ ჩამოვარდა, ბარემ იმასაც ვიტყვი, თუ უმთავრესად რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენში დამზღვეველ საზოგადოებას მტკიცე ნიადაგი ჰქონდეს, ბრმა ბედზედ არ იყოს დაფუძნებული და ისე დღე მოკლე არ შეიქმნას, როგორც ეს არა ერთს საზოგადო საქმეს დასჩემებია ჩვენში. ამ საქმის თავიდგანვე გონივრულად დაყენებისათვის საჭიროა წინდაწინ თანაბარი მასალის შეკრება იმის შესახებ, თუ სად, რომელს კუთხეში რამდენი მოსავალი პურისა, ღვინისა და სხვა ჭირნახულისა მოდის ყოველ წელს შუა რიცხვით, საშუალო ანგარიშით როდის მეორდება მოუსავლობა, რა ზარალი მოსდის მოუსავლობიდამ ხალხს და სხვა ცნობები.[6] თუ ეს საჭირო მასალა არ გვექმნა წინდაწინვე ხელში, ჩვენ ვერც საზოგადოებას დავიარსებთ: ყველა დაწესებულების სიმტკიცე თხოულობს, რომ მას წამძღვარებული ჰქონდეს საჭირო ანგარიში, რომელზედაც იგი უნდა აფუძნებდეს თავისს კეთილ-დღეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსებობა არაფრით არ იქმნება უზრუნველ-ყოფილი. ასეთი გაფრთხილება მუდამ გვმართებს, რადგან ხშირად მოხდება ხოლმე, რომ, როდესაც რომელიმე საზოგადო დაწესებულება პრინციპით დიდად სასარგებლო და ფრიად მნიშვნელოვანია, გაჭირებაში ვარდება და ამ მიზეზით იღუპებიან იქ მონაწილე პირები; ხალხი ამ გარემოებას თვით დაწესებულების მიზნის უვარგისობას აწერს, რაიცა, რასაკვირველია, წარმატებისათვის დიდად მავნებელია. საქმე-კი ნამდვილად ამგვარს შემთხვევებში იმაში მდგომარეობს, რომ რომელიმე საზოგადო დაწესებულების მოქმედება მოუფიქრებლად, განუსჯელად დაწყებულა, საჭირო გარანტია თავშივე ჰკლებია, მაგარ ფუძეს მოკლებული ყოფილა და სხვ. დაწესებულება რა შუაშია, თუ დამწესებელთ რიგიანად ვერ მოუწყვიათ საქმე დასაწყისშივე? რომ ამის მზგავსი ეჭვები არ დაებადოს შემდეგ ხალხს დამზღვეველ საზოგადოების სარგებლობის შესახებ, ამიტომ უნდა გავიჩინოთ წინდაწინ ის ცნობები, რომლებზედაც ზემოდ ვსთქვით, ვიდრე რაიმე საზოგადოებას გავჩარხავდეთ. ამ პირობებში და მხოლოდ ამ პირობებში ჩვენ შეგვიძლიან უზრუნველ-ვყოთ მომავალი დამზღვეველ საზოგადოებისა.

გრ. გველესიანი.

[5]) ამ საგნის შესახებ იხ. А. Грассъ. Записка объ учрежденiи „Общества для страхованiя Сельско-Хозяйст. посѣвовъ отъ неурожаевъ“. 1890 г.

[6]) ა. გრასსი, ავტორი ზემოდ-მოყვანილ წიგნისა, იძლევა თავისს წიგნში გამოსაკვლევად სამს კითხვას, რომელიც ამ გვარისავე მასალის შეკრებას შეეხება რუსეთში.

ობა ამ მხრივ უფრო სხვა არის, ვიდრე ინგლისისა და გერმანიისა; საფრანგეთის უნივერსიტეტების კარი არასოდეს არ ყოფილა დაკეტილი ქალთათვის, მაშინ როდესაც ინგლისისა და გერმანიის უნივერსიტეტებში ლექციების მოსმენის ნებართვა ძალით მოიპოვეს ქალებმა; მაგრამ ამ ბოლო დრომდის ფრანგ ქალთა შორის ძალიან ცოტა იყო მსურველი უმაღლეს განათლების მიღებისა. პარისის სამკურნალო სკოლაში ქალებმა 1868 წლიდგან დაიწყეს ლექციების ყურის გდება; მაშინ მხოლოდ სამი უგდებდა ყურს. 10 წლის შემდეგ ქალთა რიცხვი 32-დის ავიდა; ხოლო ამ ჟამად ამ სკოლაში ირიცხება 169 სტუდენტი ქალი, მაგრამ ამათში მხოლოდ 16-ია ფრანგი, მომეტებული ნაწილი-კი ან რუსია და ან პოლონელი. იურიდიულ ფაკულტეტებზედ სულ ექვსი ქალი ითვლება.

გადაავლო-რა თვალი ქალთა უმაღლეს განათლების მდგომარეობას ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში ,,ფორუმ''-ში მოთავსებულ წერილის ავტორმა, შენიშნავს იგი,—რომ, როგორც ამ საუკუნის უკანასკნელ 25 წლის ნაყოფი გვიჩვენებს, უნდა იმედი ვიქონიოთ, მომავალში ქალთა განათლების საქმე ბევრად გაუმჯობესდება და სასურველს ნაყოფს მოიტანსო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 მაისი *).

**პეტერბურგი.** „სავაჭრო და სამრეწველო გაზეთი“ გვაუწყებს, რომ ნავთის მწარმოებელთა და მრეწველთა სამი ჯგუფი შეერთდა და ამნაირად შესდგა სინდიკატი ნავთის საზღვარ-გარედ გატანისა და ვაჭრობის საქმის გაუმჯობესებისათვის.

ბუხარის საგანგებო ელჩს დღეს ჩააბარეს ხელმწიფის წერილი ბუხარის ემირთან და განსვენებულის იმპერატორის პორტრეტი.

„ნოვ. ვრ.“-ს ატყობინებენ ნიკოლაევიდგან, რომ შავ-ზღვაზედ დასჯახებიან ერთმანეთს გემები „სკორი“ და „ბიზანტია“. დაჯახებას მოგზაურთათვის ცუდი შედეგი არ მოჰყოლია.

**პარისი,** 2 მაისი. რიბომ წარუდგინა პარლამენტს 1896 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა. შემოსავალს მინისტრი მოელის 32 მილიონ ფრანკით ნაკლებს; გასავალი მეტი იქნება 10 მილიონ ფრანკით, ვიდრე წელს, რომელიც მოჰხმარდება სალაშქრო დაწესებულებას და $2^1/_2$ მილიონით, რომელიც მოჰხმარდება ჩრდილოეთის ესკადრას. დეფიციტი მინისტრის აღრიცხვით 55 მილიონი ფრანკი იქნება.

**ბელგრადი,** 2 მაისი. ფინანსთა მინისტრად დაინიშნა პოპოვიჩი.

**ლონდონი.** კობედგან ცნობა მოვიდა: იაპონიაში ხალხი ძლიერ აღელვებულია იმით, რომ მთავრობამ რუსეთის თხოვნით უარი განაცხადა ნახევარ-კუნძულის ლიატონგის დასაკუთრებისა. მთავრობის განკარგულებით ბევრი ჟურნალ-გაზეთის ბეჭდვა აღიკრძალა. მინისტრებისა და სხვა სახელმწიფოთა ელჩების დასაცველად მთავრობამ დიდი ღონისძიება მიიღო.

ინგლისის მთავრობამ გამოუცხადა პარლამენტს, რომ ბრიტანიის, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებს წარუდგენიათ ოსმალეთისათვის წინადადება, რათა სომხეთის პროვინციაში ადმინისტრატიული რეფორმები შემოღებულ იქმნას.

სეულიდგან იტყობინებიან: კორეს ელჩად ნამყოფს იაპონიაში იოხუნგს, რომელიც ცნობილ იქმნა დამნაშავედ როგორც მკვლელობაში, აგრეთვე სამშობლოს ღალატში, სამუდამოდ გაიგზავნა კატორგაში, დანარჩენი ოთხი მოხელე სიკვდილით დასჯილ იქმნა.

3 მაისი.

**პარისი.** ბეირუტიდან იუწყებიან, რომ გენერალ-გუბერნატორი წავიდა ლაშქრით სურში, სადაც მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის შეტაკება მოხდა.

**სტამბოლიდგან** იტყობინებიან, რომ ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის ელჩებისაგან წარდგენილი სასახლეში პროექტი რეფორმებისა სომხეთში, უკვე გადაეცა გასასინჯავად პორტას.

**ცეტინიედან** იუწყებიან, რომ ალბანელთა და ოსმალეთის ჯარის შორის შეტაკება არის ხოლმე. ჩერნოგორიაში მრავალი ალბანელი მოდის გამოქცეული.

**ვენა.** აქ მოვიდა სამხედრო დეპუტაცია, რომელმანც უნდა ჩააბაროს იმპერატორს ფრანც იოსებს ფელდმარშლის კვერთხი. დეპუტაციის წინამძღოლად პრუსიის პრინცი ალბრეხტი არის.

უნგართა დიდებულთა პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ ისრაელებს იგივე უფლება ექნეს მინიჭებული, როგორც სხვა ქვეშევრდომთ, ხოლო ის-კი აღკრძალა, რომ სხვა სარწმუნოების პირმა ისრაელის სარწმუნოება აღიაროს.

**ლონდონი,** 3 მაისი. პეკინიდგან იუწყებიან, რომ ლიატონგის კუნძულზე უარი განაცხადა იაპონიამ და სამაგიეროც არა მოუთხოვია-რა.

**სიმლიდგან** იწერებიან, რომ ჩიტრალლები თავს დასხმიან ინგლის-ინდოთა ლაშქარს კამბატასთან, 7 კაცი მოუკლავთ და 20 დაუჭრიათ. საზირისტანში მოკლეს ერთი ინგლისის ოფიცერი.

---

*) დეპეშათა სააგენტოსაგან მხოლოდ გუშინ მოგვივიდა ეს დეპეშა ნაშუადღევის პირველ საათზედ. რედ.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[illegible] დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . . | „ | 60 |

დაისტამბა და ისყიდება ქართველთა ამხანაგობის მიერ გამოცემული თ. რაფაელ ერისთავის თხზულებანი პირველი ტომი. ამ ტომში მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები. წიგნი შეიცავს 400 გვ., ჩართულია ავტორის სურათი და ფაქსიმილე. ფასი 1 მან.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნების გამომცემელ მართველთში და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

**საქართველოს ისტორია**

შემუშავებული და შევსებული
**მოსე გ. ჯანაშვილის მიერ.**
მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა
ფასი 70 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერს ქაღალდზედ
კნ. ნინო ორბელიანის
**ლექსები.**
ფასი 50 კაპ.
მსურველს შეუძლიან მიჰმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალ-სენაკში.

---

ქ. ფოთში
თეოფილაქტოვის კანტორაში
ისყიდება
**მარსელიის კრამიტი**
უპირველესის ხარისხისა
(5—1152—4)

---

**ცხოვრება**
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის ქუთაისის და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის

---

ახალი გამოცემანი:
**საეჭვარეულო**
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
**ფასი მანეთ ნახევარი.**

---

მოსამზადებელი სასწავლებელი
**ი. პ. როსტომაშვილისა**
ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ-დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
**ჰიგიენური**
ბორნო-ციმოეულის საპონი
**გ. ფ. იურგენსისა**
აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭრისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ამეუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—2—5)

---

ქირურგიული სამკურნალო
**„ბ ნ ი“**
მოსკოვში.

სამკურნალოს კიდევ მიემატა ორი ახლად გაკეთებული პავილიონი.

მიიღებიან როგორც მოზრდილნი ისე ბავშვები ქირურგიულისა და შარდით ავადმყოფნი. საავადმყოფოში ყოფნაში და წამლობაში თვიურად ერთმევად 60-დგან 300 მან. ავადმყოფთ, უფრო-კი ბავშვებს, შეიძლება თან ჰყავდეთ მშობლები, ან ნათესავები. სამკურნალოსა ჰყავს თავისი საკუთარი მრჩეველი ექიმები.

პატრონი და დირექტორი ექიმი **პ. ი. მოდლინსკი.** ორდინკა, მ. კადაშევის მოსახვევი, საკუთარი სახლი. (10—3—4.)

---

**,,სიჭაბუკის ცოდვა''**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—5

---

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა როდიონოვისას.

Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Мая 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე